

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	5-23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტინერო ტერმინალის“ პარტნიორს და ხელმძღვანელობას

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტინერო ტერმინალის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება საქართველოში ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტს და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არც ახლა და არც მომავალში არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ვალდებულები ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ გონივრული დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასლების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასლების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.



**Building a better
working world**

- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ანა კუსრაშვილი (SARAS-A-169041)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

თბილისი, საქართველო

2025 წლის 19 აგვისტო

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“


სრული შემოსავლის ანგარიშგება


2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები ოპერაციებიდან	5	32,617,245	38,558,169
საიჯარო შემოსავალი		18,409	27,096
საოპერაციო ამონაგები		32,635,654	38,585,265
ცვეთა და ამორტიზაცია		(6,963,731)	(6,143,313)
შრომითი დანახარჯები		(5,248,466)	(5,370,470)
აღჭურვილობასთან და ტექნიკასთან დაკავშირებული ხარჯი	6	(2,340,239)	(3,085,412)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(2,181,136)	(2,203,442)
საოპერაციო მოგება		15,902,082	21,782,628
ფინანსური შემოსავალი	12	156,165	113,791
ფინანსური დანახარჯი	16.1	(3,152,896)	(2,849,202)
საკურსო სხვაობით განპირობებული (ზარალი)/შემოსულობა, წმინდა		(508,184)	(1,315,573)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		9,422	29,101
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(1,040,637)	(1,228,920)
მოგება დაბეგვრამდე		11,365,952	16,531,825
მოგების გადასახადის ხარჯი	8	(992,825)	(2,782,431)
წლის მოგება		10,373,127	13,749,394
უცხოური ვალუტის კონვერტაციით მიღებული საკურსო სხვაობა		390,630	(82,129)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		10,763,757	13,667,265

ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 19 აგვისტოს:


მმართველ დირექტორი
ნიკოლოზ გოგოლაშვილი


ფინანსური მენეჯერი
ამირან წილოსანი

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები ოპერაციებიდან	5	32,617,245	38,558,169
საიჯარო შემოსავალი		18,409	27,096
საოპერაციო ამონაგები		32,635,654	38,585,265
ცვეთა და ამორტიზაცია		(6,963,731)	(6,143,313)
შრომითი დანახარჯები		(5,248,466)	(5,370,470)
აღჭურვილობასთან და ტექნიკასთან დაკავშირებული ხარჯი	6	(2,340,239)	(3,085,412)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(2,181,136)	(2,203,442)
საოპერაციო მოგება		15,902,082	21,782,628
ფინანსური შემოსავალი	12	156,165	113,791
ფინანსური დანახარჯი	16.1	(3,152,896)	(2,849,202)
საკურსო სხვაობით განპირობებული (ზარალი)/შემოსულობა, წმინდა		(508,184)	(1,315,573)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		9,422	29,101
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(1,040,637)	(1,228,920)
მოგება დაბეგვრამდე		11,365,952	16,531,825
მოგების გადასახადის ხარჯი	8	(992,825)	(2,782,431)
წლის მოგება		10,373,127	13,749,394
უცხოური ვალუტის კონვერტაციით მიღებული საკურსო სხვაობა		390,630	(82,129)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		10,763,757	13,667,265

ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 19 აგვისტოს:

მმართველი დირექტორი
ნიკოლოზ გოგოლი

ფინანსური მენეჯერი
ამირან წილოსანი

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	22,503,404	18,637,106
აქტივის გამოყენების უფლება	16.1	27,540,976	30,041,367
არამატერიალური აქტივები		143,130	164,615
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	9	234,407	–
		50,421,917	48,843,088
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	10	1,562,596	1,445,647
სავაჭრო მოთხოვნები	11	1,373,266	800,454
გადახდილი ავანსი		542,202	582,215
ავანსად გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		850,584	481,585
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	2,958,165	1,261,565
		7,286,813	4,571,466
სულ აქტივები		57,708,730	53,414,554
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	200	200
გაუნაწილებელი მოგება		8,152,518	3,220,973
რეზერვი უცხოური ვალუტის კონვერტაციით მიღებული საკუთარ სხვაობებიდან		2,546,760	2,156,130
		10,699,478	5,377,303
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	16.1	40,553,865	39,925,541
		40,553,865	39,925,541
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	16.1	2,947,005	4,912,278
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	3,118,043	458,879
გადასახდელი დივიდენდები	13	–	1,986,859
მოგების გადასახადის ვალდებულება		390,339	753,694
		6,455,387	8,111,710
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		57,708,730	53,414,554

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	რეზერვი უცხოური ვალუტის კონვერტაციით მიღებული საკუროსო სხვაობებიდან	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	200	5,238,683	2,238,259	7,477,142
წლის მოგება	–	13,749,394	–	13,749,394
სხვა სრული შემოსავალი	–	–	(82,129)	(82,129)
სხვა სრული შემოსავალი	–	13,749,394	(82,129)	13,667,265
დივიდენდები (მე-13 შენიშვნა)	–	(15,767,104)	–	(15,767,104)
2023 წლის 31 დეკემბერი	200	3,220,973	2,156,130	5,377,303
წლის მოგება	–	10,373,127	–	10,373,127
სხვა სრული შემოსავალი	–	–	390,630	390,630
სხვა სრული შემოსავალი	–	10,373,127	390,630	10,763,757
დივიდენდები (მე-13 შენიშვნა)	–	(5,441,582)	–	(5,441,582)
2024 წლის 31 დეკემბერი	200	8,152,518	2,546,760	10,699,478

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		11,365,952	16,531,825
<i>კორექტირებები გადასახადით დაბეგვრამდე მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია		6,963,731	6,143,313
ფინანსური დანახარჯი	16.1	3,152,896	2,849,202
ფინანსური შემოსავალი		(156,165)	(113,791)
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული ზარალი		3	10,243
საოპერაციო მოგება საბრუნავი კაპიტალის ცვლილების განხორციელებამდე		21,326,417	25,420,792
<i>საბრუნავი კაპიტალის კორექტირება</i>			
ცვლილება მარაგებში		(52,193)	(125,858)
ცვლილება გადახდილ ავანსებში		63,422	(23,632)
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებში		(521,388)	1,037,381
ცვლილება ავანსად გადახდილ გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა		(337,313)	364,204
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		500,041	(697,957)
		20,978,986	25,974,930
გადახდილი მოგების გადასახადი		(1,376,938)	(2,163,142)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		19,602,048	23,811,788
<i>საინვესტიციო საქმიანობა</i>			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(2,977,313)	(6,242,281)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(46,686)	–
მიღებული პროცენტი		156,165	113,791
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(2,867,834)	(6,128,490)
<i>საფინანსო საქმიანობა</i>			
საიჯარო გადახდები	16.1	(7,691,355)	(5,363,840)
გადახდილი დივიდენდები	13	(7,451,632)	(14,932,181)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(15,142,987)	(20,296,021)
<i>ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)</i>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		1,261,565	3,953,920
ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი		105,373	(79,632)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	12	2,958,165	1,261,565

5-23 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. კორპორაციული ინფორმაცია

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“ (შემდგომში „კომპანია“) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნდა 2007 წლის 29 აგვისტოს როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი ბათუმი, საზღვაო, სავაჭრო ნავსადგური. კომპანია ფლობს საკონტეინერო ტერმინალს და საბორნე ხიდს საქართველოს საპორტო ქალაქ ბათუმში.

კაიშანის კუნძულზე რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ICTSI Georgia Corp.“ არის კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი („მშობელი საწარმო“), ხოლო კომპანია „International Container Terminal Services Inc.“ (შემდგომში „საბოლოო მშობელი საწარმო“ ან „ICTSI“) გლობალური საბოლოო მშობელი საწარმოა. მშობელი საწარმო არის გლობალური მართვის კომპანია, რომლის სათავე ოფისი მდებარეობს ფილიპინების დედაქალაქ მანილაში და დარეგისტრირებულია ფილიპინების საფონდო ბირჟაზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა პარტნიორის მიერ. პარტნიორს აქვს ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების, ასევე მისი ცვლილების მოთხოვნის უფლება.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (ლ) და ყველა თანხა დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე, თუ სხვაგვარად არ იქნება მითითებული, ძირითად ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, რომელიც წარმოდგენილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში (აშშ დოლარი) და გამოცემულია 2025 წლის 19 აგვისტოს. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

(ა) ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

კომპანიამ პირველად გამოიყენა კონკრეტული სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს და ამ თარიღის შემდეგ დაწყებული ყოველწლიური პერიოდებისთვის (თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული). კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია რომელიმე სხვა სტანდარტი, ინტერპრეტაცია ან ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ძალაში არ არის შესული.

ფასს (IFRS) 16-ის ცვლილებები - საიჯარო ვალდებულება გაყიდვებსა და უკუიჯარაში

ფასს (IFRS) 16-ის შესწორებები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც იყენებს გამყიდველი-მოიჯარე ყიდვა-გაყიდვის და უკუიჯარის ოპერაციებიდან წარმოშობილი საიჯარო ვალდებულების შეფასებისას, რათა უზრუნველყოს ის, რომ მყიდველმა-მოიჯარემ არ აღიაროს შემოსულობის ან ზარალის ისეთი თანხა, რომელიც მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებას უკავშირდება. ცვლილებებს გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ა) ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები (გაგრძელება)

ბასს (IAS) 1-ის ცვლილებები - ვალდებულებების მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიცირება

ბასს (IAS) 1-ის ცვლილებებით განსაზღვრულია ვალდებულებების მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის მოთხოვნები. ცვლილებებით განისაზღვრება:

- ▶ რას ნიშნავს ანგარიშსწორების გადავადების უფლება
- ▶ რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში
- ▶ რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის ალბათობა, რომ საწარმო ისარგებლებს გადავადების უფლებით
- ▶ რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონვერტირებად ვალდებულებაში განივთებული წარმოებული ინსტრუმენტი თავად არის წილობრივი ინსტრუმენტი, ვალდებულების პირობები არ იმოქმედებს კლასიფიკაციაზე.

ამასთან, საწარმო ვალდებულია გაამჟღავნოს ინფორმაცია სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების გრძელვადიანად კლასიფიცირების და საწარმოს მიერ ანგარიშსწორების გადავადების უფლების შესახებ, რომელიც დამოკიდებულია მომავალი ვალდებულებების დაცვაზე თორმეტი თვის განმავლობაში.

მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები - ბასს (IAS) 7-ის და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილებები

ბასს (IAS) 7-ის („ფულადი ნაკადების ანგარიშგება“) და ფასს (IFRS) 7-ის („ფინანსური ინსტრუმენტები“) ცვლილებები: მომწოდებლის ფინანსური გარიგებების მახასიათებლების განმარტებითი შენიშვნები და ამგვარი გარიგებების დამატებითი განმარტებების მოთხოვნა. ცვლილებები განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნის მიზანია ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს დაეხმაროს საწარმოს ვალდებულებებზე, ფულად ნაკადებზე ან ლიკვიდობის რისკის ზომაზე მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების ეფექტების გააზრებაში. ცვლილებებს გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ბ) გამოცემული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ქვემოთ განსაზღვრულია ახალი და გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში არ არის შესული კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის. კომპანია ამ ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას გეგმავს მათი ძალაში შესვლისთანავე.

„ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა“ – ცვლილებები ბასს (IAS) 21-ში

2023 წლის აგვისტოში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოუშვა ცვლილებები ბასს (IAS) 21-ში „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“, რითაც დააკონკრეტა, როგორ უნდა შეაფასოს საწარმომ, არის თუ არა ვალუტა ურთიერთგაცვლადი და როგორ უნდა განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი, როდესაც ურთიერთგაცვლა შეუძლებელია. ცვლილებები ასევე მოითხოვს იმ ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, გაერკვნენ იმაში, თუ როგორ მოქმედებს ან სავარაუდოდ როგორ იმოქმედებს ვალუტა, რომელიც არ არის ურთიერთგაცვლადი სხვა ვალუტაში, საწარმოს ფინანსურ შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ბ) გამოცემული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ძალაში შევა 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ვადაზე ადრე მიღება ნებადართულია, თუმცა საჭირო იქნება ამ ინფორმაციის გამჟღავნება. ცვლილებების გამოყენებისას საწარმოს არ შეუძლია შესადარისი ინფორმაციის გადანგარიშება.

მოსალოდნელი არ არის რომ ამ ცვლილებებს არსებითი გავლენა ექნებათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 18 - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები“

2024 წლის აპრილის თვეში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს (IFRS) 18, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 1-ს („ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა“). ფასს (IFRS) 18 ადგენს მოგებისა და ანგარიშგების ფარგლებში ინფორმაციის წარდგენის, მათ შორის ჯამების და ქვეჯამების მითითების ახალ მოთხოვნებს. გარდა ამისა, საწარმოები ვალდებული არიან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში განხორციელოს ყველა შემოსავლის და ხარჯის კლასიფიცირება ხუთი კატეგორიიდან ერთ-ერთით: საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, მოგების გადასახადი და შეწყვეტილი ოპერაციები, საიდანაც პირველი სამი ახალი კატეგორიაა.

ის ასევე მოითხოვს ახლად განსაზღვრული ხელმძღვანელობის მიერ არჩეული შესრულების მაჩვენებლების საზომების - შემოსავლისა და ხარჯების ქვეჯამების გამჟღავნებას, ასევე ახალ მოთხოვნებს ფინანსური ინფორმაციის აგრეგირების და დეზაგრეგირების შესახებ, საწყის ფინანსურ ანგარიშგებებსა და განმარტებით შენიშვნებში გამოვლენილი „როლების“ საფუძველზე. ამასთან, მცირემასშტაბიანი ცვლილებები განხორციელდა ბასს (IAS) 7-ში („ფულადი ნაკადების ანგარიშგება“), რაც მოიცავს ოპერაციებიდან ფულადი ნაკადების განსაზღვრის საწყისი წერტილის ცვლილებას არაპირდაპირი მეთოდის ფარგლებში, „მოგება-ზარალიდან“ „საოპერაციო მოგება-ზარალზე“; ასევე ფულადი ნაკადების ანაზრებიდან და პროცენტიდან კლასიფიკაციასთან დაკავშირებული შერჩევითობის გაუქმებას. ამასთან, განხორციელდა რამდენიმე სხვა სტანდარტის შედეგობრივი ცვლილებებიც. ფასს (IFRS) 18 და სხვა სტანდარტების ცვლილებები ძალაშია 2027 წლის 1 იანვარიდან ან ამ თარიღით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. დასაშვებია ვადაზე ადრე მიღება, რაც აუცილებლად უნდა იყოს გაცხადებული. ფასს (IFRS) 18-ის გამოყენება რეტროსპექტულად მოხდება.

დღეისათვის კომპანია მუშაობს შესწორებების ყველა გავლენის გამოვლენაზე, რომლებსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეთ საწყის ფინანსურ ანგარიშგებებზე ან ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ბ) გამოცემული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 19 - შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ინფორმაციის გამჟღავნება:

2024 წლის მაისის თვეში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს (IFRS) 19, რომელიც უფლებამოსილ საწარმოს საშუალებას აძლევს აირჩიოს გამოიყენოს ინფორმაციის გამჟღავნების შეზღუდული მოთხოვნები და ამავდროულად გამოიყენოს აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნები სხვა ფასს (IFRS) სააღრიცხვო სტანდარტებში. უფლებამოსილებისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღისთვის საწარმო უნდა იყოს შვილობილი საწარმო ფასს (IFRS) 10-ის შესაბამისად, არ უნდა ჰქონდეს საჯარო ანგარიშვალდებულება და უნდა ჰყავდე მშობელი საწარმო (საბოლოო ან შუალედური), რომელიც ამზადებს საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს ფასს სააღრიცხვო სტანდარტების შესაბამისად.

ფასს (IFRS) 19 ძალაში შევა 2027 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. ჯგუფი განაგრძობს თავისი უფლებამოსილების შეფასებას ფასს (IFRS) 19-ის გამოყენებაზე და ამ უფლებამოსილების შემთხვევაში, როდის უნდა გამოიყენოს ახალი სტანდარტი.

მოსალოდნელი არ არის, რომ ქვემოთ მოცემულ ცვლილებებს და გადასინჯულ სტანდარტებს, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში არ არის შესული კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, არსებითი გავლენა ექნებათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ▶ „ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები“ - ფასს (IFRS) 9 და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილებები (გამოცემული 2024 წლის 18 დეკემბერს)
- ▶ ყოველწლიური გაუმჯობესებების მე-11 ტომი (გამოცემული 2024 წლის 18 ივლისს)
- ▶ ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების ცვლილებები - ფასს (IFRS) 9 და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილებები (გამოცემული 2024 წლის 30 მაისს).

(გ) უცხოური ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა აშშ დოლარი, რადგან კომპანია საერთაშორისო გადატვირთვების სექტორში ფუნქციონირებს, მისი ოპერაციები პირდაპირ უკავშირდება ერთ ეკონომიკას და მისი ფასები აშშ დოლარში განისაზღვრება. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში (თუ სხვაგვარად არ არის მითითებული).

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები თავდაპირველად სამუშაო ვალუტაში აღირიცხება, და კონვერტირდება გარიგების თარიღისთვის დადგენილი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაანგარიშება ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ კურსით. უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციების გადაანგარიშების შედეგად მიღებული შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა/(ზარალი).

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) ამონაგების აღიარება

ამონაგები განისაზღვრება მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების საფუძველზე. კომპანია ამონაგებს მაშინ აღიარებს, როდესაც პროდუქტზე ან მომსახურებაზე კონტროლს მომხმარებელს გადასცემს.

ამონაგების აღიარებამდე ასევე უნდა დაკმაყოფილდეს ქვემოთ აღწერილი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმი,

ამონაგები ოპერაციებიდან

კომპანია თავისი მომხმარებლებისთვის ახორციელებს სანავსადგურო ოპერაციებს, რომლებიც მოიცავს კონტეინერების ჩამოტვირთვას, შენახვას და სხვა მომსახურებებს. კომპანია განსაზღვრავს, რომ გარიგების ფასი შეესაბამება მის მომხმარებლებთან შეთანხმებულ სატარიფო განაკვეთებს. კომპანიამ დაასკვნა, რომ ამონაგები სანავსადგურო ოპერაციებიდან ხვდება ფასს (IFRS) 15-ის („ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) ფარგლებში და უნდა აღიარდეს მომსახურების გაწევისთან ერთად და დაკმაყოფილდეს დროთა განმავლობაში.

საიჯარო შემოსავალი

საოპერაციო იჯარიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ამონაგების მუხლში.

საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული და სავაჭრო მოთხოვნების სახით კლასიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც მომავალში მოსალოდნელი ფულადი სახსრების ზუსტ დისკონტირებას ახდენს ფინანსური ინსტრუმენტის ვადაზე ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავალი შესულია მოგება ან ზარალში.

(ე) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ასახულია თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება წარმოადგენს შესყიდვის ფასს, რომელიც მოიცავს შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს და აქტივის ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობამდე მოსაყვანად და დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს. ეს დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ხარჯს, ხარჯის გაწევის დროს, თუ დაკმაყოფილებულია აღიარების კრიტერიუმები. ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ გაწეული დანახარჯები, როგორც არის რემონტისა და ტექნომსახურების ხარჯები, ჩვეულებრივ აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც ეს ხარჯები გაიწია.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ცვეთის აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება ყოველი ფინანსური წლის დასასრულს გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, რეტროსპექტიულად კორექტირდება.

მიმდინარე და შედარებადი პერიოდებისთვის სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადებია:

	წელი
საიჯარო უფლებები და გაუმჯობესებები	5-48 წელი
სანავსადგურო დანადგარები და მოწყობილობები	5-25 წელი
სატრანსპორტო აღჭურვილობა	5 წელი
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და მოწყობილობები	3-5 წელი
სხვადასხვა აღჭურვილობა	5 წელი

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება წმინდა გასვლის ამონაგებსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება იმ წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რომლის განმავლობაშიც შეწყდა აქტივის აღიარება.

(ვ) გადასახადები

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში (მე-8 შენიშვნა). დივიდენდებზე გადაიხდება მოგების გადასახადი და ის დაირიცხება იმ აქციონერებზე დივიდენდებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები არიან საქართველოში. გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც მოხდება დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებზე დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია საკუთარი კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) გადასახადები (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და საჭიროების შემთხვევაში გაცხადდება, როგორც გადასახადები სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

ამონაგების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ როდესაც მოთხოვნები და ვალდებულებები მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა თანხა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება წინასწარ გადახდილი გადასახადების ნაწილში, მოგების გადასახადის ან საგადასახადო ვალდებულების გარდა.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. ამიტომ კომპანია ყველა საგადასახადო ვალდებულებასთან და მოთხოვნასთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე წარმოადგენს.

(ზ) იჯარა

ხელშეკრულების გაფორმებისას კომპანია აფასებს ხელშეკრულება წარმოადგენს ან მოიცავს თუ არა იჯარას. ეს იმას ნიშნავს, გადასცემს თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივების სარგებლობის კონტროლის უფლებას დროის კონკრეტულ მომენტში, საზღაურის სანაცვლოდ.

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანია ყველა იჯარისთვის იყენებს აღიარების და შეფასების ერთ მეთოდს. კომპანია აღიარებს იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რომ განახორციელოს საიჯარო გადახდები და აანაზღაუროს აქტივის გამოყენების უფლება, რომლებიც წარმოადგენს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლებას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია, როგორც მოიჯარე (გაგრძელება)

i) აქტივების გამოყენების უფლება

კომპანია აქტივების გამოყენების უფლებას აღიარებს იჯარის ვადის დაწყების თარიღში (მაგ. თარიღში, როდესაც საიჯარო აქტივი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი ხდება). აქტივის გამოყენების უფლება თვითღირებულებით ფასდება, ნებისმიერი დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით, და კორექტირდება საიჯარო ვალდებულებების გადაფასების მიხედვით. აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს საიჯარო ვალდებულებების აღიარებულ თანხას, თავდაპირველად გაწეულ პირდაპირ დანახარჯებს და იჯარის ვადის დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებულ საიჯარო გადახდებს, ნებისმიერი მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდის გამოკლებით. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საიჯარო ვადასა და აქტივების სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადის განმავლობაში.

აქტივების გამოყენების უფლება ასევე გაუფასურების საგანია. იხილეთ სააღრიცხვო პოლიტიკა (ლ) ნაწილში - არაფინანსური აქტივების გაუფასურება.

ii) საიჯარო ვალდებულებები

იჯარის ვადის დაწყების თარიღში კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულებით ფასდება. საიჯარო გადახდები მოიცავს იჯარის წამახალისებელი გადახდების მოთხოვნით შემცირებულ ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის არსებითად ფიქსირებულ გადასახდელებს), ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც დამოკიდებულია განაკვეთის ინდექსზე და იმ თანხებზე, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების ფარგლებში. საიჯარო გადახდები ასევე მოიცავს შესყიდვის უფლების აღსრულების ფასს, რომლის კომპანიის გამოყენებაც გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია და იჯარის შეწყვეტისთვის ჯარიმის გადახდებს, თუ იჯარის ვადა ასახავს კომპანიის მიერ შეწყვეტის უფლებით სარგებლობას. საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების დაანგარიშებისას, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო განაკვეთს იჯარის ვადის დაწყების თარიღში, რადგან იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მარტივად ვერ განისაზღვრება. იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა გაიზრდება, პროცენტის გაზრდის ასახვის მიზნით, და შემცირდება - განხორციელებული საიჯარო გადახდებისთვის. ცვლილებები მომავალ საიჯარო გადახდებში, რაც გამოწვეულია საცნობარო ინდექსის ცვლილებით, აღიარდება, როგორც საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასება, აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულების ცვლილების სახით.

კომპანია, როგორც მეიჯარე

იჯარა, რომელშიც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. მიღებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ამონაგების მუხლში. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავალი. პირობითი საიჯარო ქირის აღიარება ხდება ამონაგების სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(თ) ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით აფასებს ბალანსის ყოველი თარიღისთვის.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემების საფუძველზე, რომელიც მთლიანობაში მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებებისას:

- ▶ 1-ლი დონე – იდენტური აქტივების ან ვალდებულებების კოტირებული (დაუკორექტირებელი) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზარზე.
- ▶ მე-2 დონე - შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- ▶ მე-3 დონე - შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების იერარქიის ერთი დონიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კომპანია განსაზღვრავს კატეგორიზაციის ხელახლა შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

(ი) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი და განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი არ წარმოქმნის ფულად სახსრებს, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მის ანაზღაურებად ღირებულებას აჭარბებს, აქტივი გაუფასურებულად მიიჩნევა და ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების განსაზღვრისას, შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. ამ გამოთვლების დასაბუთება ხდება შეფასების კოეფიციენტებით და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ი) არაფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

კომპანია გაუფასურების დაანგარიშებისას ეყრდნობა დეტალურ საბიუჯეტო და საპროგნოზო დაანგარიშებებს. ეს საბიუჯეტო და საპროგნოზო დაანგარიშებები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდებისთვის, გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

განგრძობითი ოპერაციების გაუფასურების, მათ შორის მარაგების გაუფასურების ზარალი აღიარდება სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯების კატეგორიებში, გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამისი ხარჯების კატეგორიებში.

(კ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს სალაროში და ბანკში. ნაღდი ფული ბანკში პროცენტიანი მიმდინარე ანგარიშებისგან შედგება. ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს სალაროში და ბანკში.

(ლ) გარიგებები საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებთან

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებთან ყველა გარიგება თვითღირებულებით ფასდება, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ფასის სტანდარტებში, მაგალითად ფასს (IFRS) 2 „აქციებზე დაფუძნებული გადახდა“ ან ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“. იმ შემთხვევაში, თუ გარიგებები არ შეიცავს საზღაურს, მაშინ მათი ღირებულება ნულით ფასდება.

(მ) ფულადი დივიდენდებისა და არაფულადი განაწილება მშობელ საწარმოზე

კომპანია აღიარებს ვალდებულებას, მოახდინოს ფულადი ან არაფულადი განაწილება მშობელი საწარმოზე, როდესაც განაწილება ნებადართულია და აღარ არის კომპანიის გადაწყვეტილების საგანი. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მიხედვით, მოგების განაწილება ნებადართულია მაშინ, როდესაც მტკიცდება პარტნიორთა და აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული დადგენილებით. შესაბამისი თანხის აღიარება პირდაპირ საკუთარ კაპიტალში ხდება.

არაფულადი განაწილება ფასდება გასანაწილებელი აქტივების სამართლიანი ღირებულებით და სამართლიანი ღირებულების გადაფასების აღიარება პირდაპირ საკუთარ კაპიტალში ხდება.

არაფულადი აქტივების განაწილებისას ყოველგვარი სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და განაწილებული აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა, შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ განსჯას, შეფასებასა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში ამონაგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე. თუმცა ამ დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებით არსებული განუსაზღვრელობის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა, შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

განსჯა

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე:

ფასს (IFRS) იჯარები

ფასს (IFRS) 16-ის გამოყენება კომპანიისგან ისეთი განსჯის გაკეთებას მოითხოვდა, რომლებიც საიჯარო ვალდებულებების და აქტივების გამოყენების უფლების შეფასებებზე მოქმედებენ. ეს მოიცავს: მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრას და მომავალი საიჯარო ფულადი ნაკადების შეფასებას, სამომხმარებლო ფასების ინდექსის საფუძველზე. იჯარა 48-წლიანია და მას ვადა 2055 წლის 30 ივნისს გასდის. კომპანიამ ეს პერიოდი გამოიყენა მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი განისაზღვრა მშობელი საწარმოს ზღვრულ სასესხო განაკვეთად, რადგან კომპანიამ ივარაუდა, რომ ნებისმიერ ნასესხებ სახსრებს, რომლებიც მას დასჭირდება, მშობელი საწარმო უზრუნველყოფს საკუთარი ზღვრული სასესხო განაკვეთით, რომელიც მარჯით შეიცვლება.

კომპანიამ გამოიყენა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საჯაროდ ხელმისაწვდომი სამომხმარებლო ფასების ინდექსი მომავალი საიჯარო ფულადი ნაკადების შესაფასებლად 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან კომპანიამ ივარაუდა, რომ ცვლადი საიჯარო გადახდები უნდა გადაფასდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება საანგარიშგებო თარიღამდე საცნობარო ინდექსის ცვლილებით გამოწვეულ ცვლილებას ფულად ნაკადებში. ზღვრული სასესხო განაკვეთის და გამოყენებული სამომხმარებლო ფასების ინდექსის განსაზღვრასთან დაკავშირებულ განსჯას შესაძლოა არსებითი გავლენა ჰქონდეს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშგებო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძველად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და მომავალ მოვლენებთან დაკავშირებული დაშვებები შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები აისახება მათი დადგომისთანავე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი

თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის, კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების რაიმე ობიექტური ნიშნის არსებობას. გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება სარეზერვო ანგარიშის გამოყენების გზით, ხოლო ზარალის ოდენობა აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯში. ხელმძღვანელობამ 610,047 ლარი (2023 წ.: 584,533 ლარი) სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების შესაძლო ზარალის საუკეთესო შეფასებად განსაზღვრა (მე-11 შენიშვნა).

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტინერო ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. ამონაგები ოპერაციებიდან

	2024	2023
კონტინერის დამუშავების საფასური	21,334,642	21,279,447
საკონტინერო ტვირთის სადგური და ამონაგები სასაწყობო მომსახურებიდან	8,119,589	14,227,867
საბორნე და სხვა მომსახურებები	3,163,014	3,050,855
სულ ამონაგები ოპერაციებიდან	32,617,245	38,558,169

ამონაგებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიის მიერ აღიარებულია 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო მოთხოვნებით იზღუდება (მე-11 შენიშვნა). სავაჭრო მოთხოვნების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საზღაურის მიღების უფლება უპირობო ხდება. 2024 წელს კომპანიის ამონაგები ოპერაციებიდან შემცირდა მეტწილად საკონტინერო ტვირთების მიღების და სასაწყობო მომსახურების საფასურის ამონაგების შემცირების გამო, რაც ძირითადად მეორადი ავტომობილებით დატვირთული კონტინერების ბრუნვის შემცირებით იყო გამოწვეული. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნები 598,326 ლარით გაიზარდა, რომლებიც კომპანიას ძირითადად მთავარი მომხმარებლის მიმართ ჰქონდა და უკავშირდებოდა ხომალდის გადასახადებს.

6. აღჭურვილობასთან და ტექნიკასთან დაკავშირებული ხარჯები

	2024	2023
საწვავთან დაკავშირებული დანახარჯები	871,624	1,251,317
რემონტის და ტექმომსახურების ხარჯები	957,474	1,157,124
კომუნალური მომსახურებები	271,851	342,057
სხვა	239,290	334,914
სულ აღჭურვილობასთან და ტექნიკასთან დაკავშირებული ხარჯები	2,340,239	3,085,412

7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
დაცვა	475,934	419,053
პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერა და საოფისე ხარჯები	444,702	478,088
დაზღვევა	232,595	291,515
სხვა გადასახადები	175,442	132,767
სამგზავრო და წარმომადგენლობითი ხარჯები	127,034	95,436
საერთო საოფისე ხარჯები	99,565	114,230
ანარიცხები საგადასახადო შეფასებისთვის	84,034	77,127
პროფესიული მომსახურება	70,898	215,557
სხვა	470,932	379,669
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2,181,136	2,203,442

8. მოგების გადასახადი

კომპანიის მოგების გადასახადის ხარჯი 992,825 ლარის ოდენობით (2023 წ.: 2,782,431 ლარი) დაირიცხა წმინდა განაწილების 15/85-იანი განაკვეთით, ე.ი. წლის განმავლობაში გაცხადებულ დივიდენდებზე.

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტინერო ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ლარი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

9. ძირითადი საშუალებები

	საიჯარო უფლებები და გაუმჯობესებები	სანავსადგურო დანადგარები და მოწყობილობები	საოფისე აღჭურვილობა, ავიჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო აღჭურვილობა	სხვადასხვა აღჭურვილობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება							
2022 წლის 31 დეკემბერი	20,879,937	34,669,513	1,650,174	885,013	460,853	46,364	58,591,854
შემოსვლები	6,913,421	3,912,539	121,869	–	–	–	10,947,829
გასვლები	–	–	(10,761)	(61,460)	–	–	(72,221)
საკურსო სხვაობა	64,558	(70,032)	(5,093)	(5,567)	(2,149)	(218)	(18,501)
2023 წლის 31 დეკემბერი	27,857,916	38,512,020	1,756,189	817,986	458,704	46,146	69,448,961
შემოსვლები	1,763,119	2,973,898	117,979	–	–	–	4,854,996
გასვლები	–	–	–	–	–	(46,686)	(46,686)
საკურსო სხვაობა	1,271,813	1,775,170	80,392	35,708	20,023	540	3,183,646
2024 წლის 31 დეკემბერი	30,892,848	43,261,088	1,954,560	853,694	478,727	–	77,440,917
დაგროვილი ცვეთა							
2022 წლის 31 დეკემბერი	13,303,479	32,271,126	1,551,529	750,129	372,473	–	48,248,736
ცვეთა წლის განმავლობაში	924,541	1,731,990	59,836	69,917	–	–	2,786,284
გასვლები	–	–	(10,761)	(51,217)	–	–	(61,978)
საკურსო სხვაობა	(40,384)	(109,920)	(6,086)	(3,060)	(1,737)	–	(161,187)
2023 წლის 31 დეკემბერი	14,187,636	33,893,196	1,594,518	765,769	370,736	–	50,811,855
ცვეთა წლის განმავლობაში	1,010,926	707,112	86,937	44,145	–	–	1,849,120
საკურსო სხვაობა	651,289	1,501,888	72,354	34,823	16,184	–	2,276,538
2024 წლის 31 დეკემბერი	15,849,851	36,102,196	1,753,809	844,737	386,920	–	54,937,513
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2023 წლის 31 დეკემბერი	13,670,280	4,618,824	161,671	52,217	87,968	46,146	18,637,106
2024 წლის 31 დეკემბერი	15,042,997	7,158,892	200,751	8,957	91,808	–	22,503,404

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

10. მარაგები

	2024	2023
სათადარიგო ნაწილები	1,500,774	1,393,254
საწვავი და საპოხი მასალები	61,822	52,393
სულ მარაგები	1,562,596	1,445,647

11. სავაჭრო მოთხოვნები

	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნები	1,983,313	1,384,987
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(610,047)	(584,533)
სულ სავაჭრო მოთხოვნები	1,373,266	800,454

სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხებათ და მათი ვადა, როგორც წესი, 30 დღეა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვმა 640.047 ლარი (2023 წ.: 584.533 ლარი) შეადგინა, რომელიც უკავშირდება 365-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილების მქონე (2023 წ.: 365 დღეზე მეტი) და სრულად გაუფასურებულ სავაჭრო მოთხოვნებს. დანარჩენი მოთხოვნები 1,373,266 ლარის (2023 წ.: 800,454 ლარი) ოდენობით არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებულია.

12. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2024	2023
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	2,955,041	1,259,438
ნაღდი ფული სალაროში	3,124	2,127
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,958,165	1,261,565

კომპანია საპროცენტო შემოსავალს იღებს რეზიდენტ ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე. მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი 156,165 ლარს (2023 წ.: 113,791 ლარი) შეადგენდა.

13. საკუთარი კაპიტალი

(i) საწესდებო კაპიტალი

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი 200 ლარით იყო განსაზღვრული და მას სრულად ფლობდა მშობელი საწარმო.

(ii) დივიდენდები

2023 წელს კომპანიამ გამოაცხადა 5,441,582 ლარის, და თავის პარტნიორს გადაუხადა 7,451,632 ლარის ოდენობით დივიდენდები. 2023 კომპანიამ გამოაცხადა 15,767,104 ლარის, და თავის პარტნიორს გადაუხადა 14,932,181 ლარის ოდენობით დივიდენდები.

ქვემოთ განსაზღვრულია გადასახდელი დივიდენდების საბალანსო ღირებულება და ცვლილების დინამიკა პერიოდის განმავლობაში:

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

13. საკუთარი კაპიტალი (გაგრძელება)

(ii) დივიდენდები (გაგრძელება)

	გადასახდელი დივიდენდები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,137,685
გამოცხადებული დივიდენდები	15,767,104
გადახდილი დივიდენდები	(14,932,181)
საკურსო სხვაობა	14,251
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,986,859
გამოცხადებული დივიდენდები	5,441,582
გადახდილი დივიდენდები	(7,451,632)
საკურსო სხვაობა	23,191
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024	2023
ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული ვალდებულებები	2,123,285	–
სავაჭრო ვალდებულებები	146,484	108,372
ვალდებულება დაკავშირებული მხარის მიმართ (15.1 შენიშვნა)	848,274	350,507
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,118,043	458,879

15. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

15.1 საოპერაციო გარიგებები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც 2024 და 2023 წლებში დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა:

		დაკავშირებული მხარეებისთვის გაწეული მომსახურება	ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ
მშობელი საწარმოები			
ICTSI Inc.	2024	1,337,821	149,263
	2023	1,556,111	108,372
შპს „ICTSI“	2024	16,466	–
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო			
Manila North Harbour Port Inc.	2023	109,797	–

15.2 გარიგებები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

2024 წელს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა ორი ფიზიკური პირისგან შედგებოდა (2023 წ.: ორი ფიზიკური პირი). მთლიანმა ანაზღაურებამ, რომელიც მოიცავდა ხელფასებს და პრემიებს, 644,071 ლარი (2023 წ.: 589,072 ლარი) შეადგინა. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან სხვა გარიგებები არ განხორციელბულა.

15.3 დივიდენდები

გთხოვთ, იხილოთ 13(ii) შენიშვნა.

16. პირობითი ვალდებულებები

16.1 საიჯარო ვალდებულებები - კომპანია, როგორც მოიჯარე

2007 წლის 2 სექტემბერს კომპანიამ „ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან“ გააფორმა საიჯარო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურმა“ კომპანიას იჯარით გადასცა 136,135 კვადრატული მეტრის ფართობის მიწა, მე-4, მე-5 და მე-6 ნავმისადგომებისა და მიმაგრებული უძრავი ქონების ჩათვლით 48 წლის ვადით. მთლიანი საიჯარო გადასახდელი განისაზღვრა 35,757,000 აშშ დოლარით, რომელიც გრაფიკის მიხედვით წლიური შენატანებით გადაიხდება და თანდათანობით გაიზრდება 106,000 აშშ დოლარიდან 779,000 აშშ დოლარამდე, დღგ-ის გარეშე და ყოველწლიურად იცვლება სამომხმარებლო ფასების ინდექსის (CPI ინდექსი) მიხედვით.

2023 წლის 10 აპრილს კომპანიამ მესამე მხარესთან გააფორმა საიჯარო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც კომპანიამ იჯარით მიიღო დამატებითი 33,500 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი 2 წლის ვადით ფიქსირებული ყოველთვიური საიჯარო გადახდებით. ქვემოთ მოცემულ 2023 წლის მოძრაობებში შესაბამისი აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება აღიარებულია შემოსვლების სახით.

ქვემოთ მოცემულია აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება და ცვლილების დინამიკა პერიოდის განმავლობაში:

	აქტივის გამოყენების უფლება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	22,797,971
შემოსვლები	7,903,566
ცვთის დარიცხვა	(3,288,096)
ნაშთის ხელახალი შეფასება სამომხმარებლო ფასების ინდექსში ცვლილების გამო	2,566,033
საკურსო სხვაობა	61,893
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	30,041,367
ცვთის დარიცხვა	(5,040,135)
ნაშთის ხელახალი შეფასება სამომხმარებლო ფასების ინდექსში ცვლილების გამო	1,345,156
საკურსო სხვაობა	1,194,588
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	27,540,976

ქვემოთ განსაზღვრულია საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება და ცვლილების დინამიკა პერიოდის განმავლობაში:

	საიჯარო ვალდებულება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	36,868,460
შემოსვლები	8,088,682
პროცენტის დარიცხვა	2,849,202
გადახდები	(5,363,840)
ნაშთის ხელახალი შეფასება სამომხმარებლო ფასების ინდექსში ცვლილების გამო	2,566,036
საკურსო სხვაობა	(170,721)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	44,837,819
პროცენტის დარიცხვა	3,252,565
გადახდები	(7,691,355)
ნაშთის ხელახალი შეფასება სამომხმარებლო ფასების ინდექსში ცვლილების გამო	1,345,156
საკურსო სხვაობა	1,756,685
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	43,500,870

17. ფინანსური რისკის მართვის მიზანი და პოლიტიკა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებას და საიჯარო ვალდებულებებს. კომპანიის ფინანსური აქტივები - სავაჭრო მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები - უშუალოდ მისი ოპერაციებიდან მოდის. კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, სავალუტო და ლიკვიდობის რისკები.

კომპანია საბაზრო რისკებს გასწევს, გარდა სავალუტო რისკისა, რომელიც უმნიშვნელოა, რადგანაც ის არ ფლობს ისეთ მნიშვნელოვან აქტივებს ან ვალდებულებებს, რომლებზეც სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობა იმერყევებს საბაზრო ფასებში ცვლილებების გამო. კომპანიას არ აქვს მცოცავი სავალუტო კურსის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები.

კომპანიის უფროსი ხელმძღვანელობა ზედამხედველობს ამ რისკების მართვას. კომპანია საკმაოდ შეზღუდულად ეწევა ისეთ საქმიანობას, რომლის დროსაც ფინანსური რისკის აღება მოუწევდა. კომპანია არ იყენებს წარმოებულ ინსტრუმენტებს რისკის მართვის ან სხვა მიზნებისთვის.

კომპანიის თითოეული შესაბამისი რისკის მართვის პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

(i) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ორგანიზაციას ფინანსური ზარალი მიადგება. კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელია საკრედიტო რისკი თავისი საოპერაციო საქმიანობებიდან.

სავაჭრო მოთხოვნები

მთლიანი მოთხოვნების ნაშთების 99% (2023 წ.: 62%), მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის გამოკლებით, კომპანიის ერთადერთი მომხმარებლისგან მისაღები თანხებისგან შედგება და საკრედიტო რისკიც ამასთან დაკავშირებით არის კონცენტრირებული. კომპანიას გრძელვადიანი (12 წელზე მეტი) ურთიერთობა აქვს ზემოთ ხსენებულ მომხმარებელთან და წარსულში ვადაგადაცვილებას ან ვალდებულებების შეუსრულებლობას ადგილი არ ჰქონია, ხოლო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი სხვა მომხმარებლებს უკავშირდება. შესაბამისად კომპანია ფორმალურად არ მართავს საკრედიტო რისკის კონცენტრაციას. მოთხოვნები იფარება წარმოშობიდან მაქსიმუმ 30 დღის შემდეგ. საკრედიტო რისკის მაქსიმალურ მოცულობას საანგარიშგებო თარიღისთვის წარმოადგენს სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება 1,373,266 ლარის (2023 წ.: 800,454 ლარი) ოდენობით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკს მართავს ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების განთავსებით საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც კომპანიასთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ. საკრედიტო რისკის მაქსიმალურ მოცულობას საანგარიშგებო თარიღისთვის წარმოადგენს ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება 2,955,041 ლარის (2023 წ.: 1,259,438 ლარი) ოდენობით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
(ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

17. ფინანსური რისკის მართვის მიზანი და პოლიტიკა (გაგრძელება)

(ii) სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ძირითადი ვალუტების კურსების მერყეობა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია აშშ დოლარისა და ლარის გაცვლითი კურსის გონივრულად მოსალოდნელი ცვლილების გავლენა, დაბეგვრის შემდგომ მოგებაზე 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, სხვა ფაქტორების უცვლელად შენარჩუნების პირობებში:

	2024 წლის 31 დეკემბერი		2023 წლის 31 დეკემბერი	
	ცვლილება აშშ დოლარის და ლარის გაცვლით კურსში	დაბეგვრამდე მოგების ეფექტი	ცვლილება აშშ დოლარის და ლარის გაცვლით კურსში	დაბეგვრამდე მოგების ეფექტი
აშშ დოლარი	+14.00%	(22,381)	+14.00%	147,457
აშშ დოლარი	-6.00%	9,594	-6.00%	(63,196)

(iii) ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა, შემდგომი დაგეგმვა იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადადამდგარი ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

ცხრილში ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული გადახდების საფუძველზე:

2024 წლის 31 დეკემბერი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	0-3 თვე	3-12 თვე	1-5 წელი	>5 წელი
საიჯარო ვალდებულებები	43,500,870	99,818,878	1,983,622	2,872,746	12,876,274	82,086,236
სავაჭრო და სხვა ვალდებულება (მე-14 შენიშვნა)	3,118,043	3,118,043	3,118,043	—	—	—
	46,618,913	102,936,921	5,101,665	2,872,746	12,876,274	82,086,236

2023 წლის 31 დეკემბერი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	0-3 თვე	3-12 თვე	1-5 წელი	>5 წელი
საიჯარო ვალდებულებები	44,837,819	100,095,103	1,875,644	5,626,932	12,760,256	79,832,271
სავაჭრო და სხვა ვალდებულება (მე-14 შენიშვნა)	458,879	458,879	458,879	—	—	—
	45,296,698	100,553,982	2,334,523	5,626,932	12,760,256	79,832,271

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

17. ფინანსური რისკის მართვის მიზანი და პოლიტიკა (გაგრძელება)

(iv) კაპიტალის მართვა

კომპანია მართავს თავის კაპიტალის სტრუქტურას და მასში შეაქვს კორექტირებები ეკონომიკურ პირობებში ცვლილებების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან შესწორების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა, დააკორექტიროს პარტნიორისთვის გადახდილი დივიდენდი ან უკან დაუბრუნოს კაპიტალი პარტნიორს.

(v) სამართლიანი ღირებულება

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება ბალანსის თარიღისთვის მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო. ყველა სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონით, გარდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა, რომლებიც 1-ელ დონეს განეკუთვნება.

18. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

2025 წლის განმავლობაში, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღამდე, კომპანიამ გამოაცხადა 14,034,000 ლარის ოდენობით (5,000,000 აშშ დოლარის ეკვივალენტი) დივიდენდები მშობელ საწარმოზე, რომლის გადახდაც სრულად უნდა მოხდეს 2026 წლის 9 მარტამდე.



შპს ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის მმართველობითი ანგარიშგება

• ზოგადი ცნობები:

საქართველოში ფუნქციონირებს ორი საკონტეინერო ტერმინალი ბათუმისა და ფოთის პორტებში. შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“ (შემდგომში „კომპანია“ ან „ტერმინალი“), რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო კორპორაცია ICTSI-ს ჯგუფის ერთ-ერთ წევრს, საქართველოში ოპერირებს 2007 წლიდან და მისი ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია საერთაშორისო გადაზიდვებთან და საკონტეინერო/საბორნე ოპერაციებთან. კომპანიის დამფუძნებელ კორპორაციას გაფორმებული აქვს 48 წლიანი კონცესიის ხელშეკრულება. შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“ ამუშავებს საკონტეინერო ტვირთებს მე-4 და მე-5 284 მეტრიან ნავმისადგომზე, ხოლო საბორნე ოპერაციები მიმდინარეობს მე-6 ნავმისადგომზე.

ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის მომსახურება (International Container Terminal Services inc.) არის კომპანიის ერთპიროვნული მფლობელი და გლობალური საბოლოო მშობელი კომპანია. მშობელი კომპანია არის გლობალური მართვის კომპანია, რომლის სათავე ოფისი მდებარეობს ფილიპინების დედაქალაქ მანილაში და დარეგისტრირებულია ფილიპინების საფონდო ბირჟაზე.

როგორც ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს კომპანია აკმაყოფილებს სამი კრიტერიუმიდან ორს და განეკუთვნება მეორე კატეგორიის საწარმოს:

31 დეკემბერი 2024

აქტივების ჯამური ღირებულება	57,708,730 ლარი > 50,000,000 ლარი
2024 წლის შემოსავალი	32,635,654 ლარი < 100,000,000 ლარი
2024 წელს დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	102 დასაქმებული < 250 დასაქმებული

კომპანია აღრიცხვა-ანგარიშგებას აწარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სააღრიცხვო ინფორმაციის ასახვა და დამუშავება წარმოებს SAP-ECC სისტემაში. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მზადდება ყოველთვიურად, ყოველკვარტალურად და აგრეთვე შემაჯამებელ დონეზე ყოველწლიურად. კომპანიას აუდიტორულ მომსახურებას უწევს შპს „იუაი“

• განვითარების გეგმები:

კომპანია მუდმივად არის განვითარების პროცესში. აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა სატერმინალო მომსახურების დახვეწის, განვითარების და გაფართოების მიმართულებით, რათა ტერმინალის მიერ გასაწევი მომსახურება მიმზიდველი გახდეს კლიენტებისათვის და საზღვაო ხაზებისათვის. გასულ წლებში მსოფლიოში არსებული პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის გამო შეჩერებული იყო ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებული მსხვილი პროექტები და მეტი ყურადღების დათმობა ხდებოდა შრომით უსაფრთხოების საკითხებზე, თუმცა 2022 წლიდან დღემდე კომპანია კვლავ განაგრძობს საკუთარი ინფრასტრუქტურის განვითარებას. 2022 წელს რუსეთ-უკრაინას შორის



დაწყებულმა სამომავლო სიტუაციამ პირველ ეტაპზე გამოიწვია ტვირბრუნვის შემცირება, რაც მეტწილად დაკავშირებული იყო უკრაინიდან საქონლის იმპორტის შეწყვეტასთან, თუმცა რამოდენიმე თვის შემდეგ ბაზარმა და გადამზიდავებმა მოახდინეს არსებულ სიტუაციასთან ადაპტირება, რის შედეგადაც გაჩნდა ახალი შესაძლებლობები ბაზრის ზრდისათვის, რომელიც მეტწილად დაკავშირებული იყო რუსეთის დასაწყობებისა და მეორადი ავტომანქანების იმპორტთან საქართველოსა და სომხეთის გავლით. გამომდინარე იქედან, რომ 2022 წლის IV კვარტლიდან დაიწყო მეორადი ავტომანქანებით დატვირთული კონტეინერების იმპორტის მნიშვნელოვანი ზრდა და ამავდროულად მოხდა მეორე საზღვაო ხაზი COSCO-ს შემოყვანა ბათუმის საკონტეინერო ტერმინალში, ადგილი ჰქონდა საკონტეინერო ტერმინალის გადატვირთულობას, რის გამოც კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება მოეხდინა დამატებითი ტერიტორიის იჯარით აღება იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა 2019-2020 წლებში მიღებული გამოცდილება, როდესაც სომხეთში დაანონსებული საბაჟო ცვლილებების შედეგად ჭარბად იყო იმპორტირებული მეორადი ავტომანქანები, რაც გახდა საქართველოში მოქმედი ორივე საკონტეინერო ტერმინალის გადატვირთულობის მიზეზი. ზემოაღნიშნული მეორადი ავტომანქანების იმპორტის ზრდის ტენდენცია შენარჩუნებული იყო 2023 წლის IV კვარტლამდე, თუმცა იმ გარემოებამ, რომ ავტოიმპორტიორებმა მოახდინეს ბაზარზე არსებულ მოთხოვნაზე ჭარბად მეორადი ავტომანქანების შემოყვანა და ასევე 2023 წლის სექტემბერში საქართველოს მთავრობამ მოახდინა ევროკავშირის მიერ დაწესებული დამატებითი შეზღუდვების ამოქმედება, რაც გულისხმობდა ა/მ-ების რუსეთში იმპორტის სრულ აკრძალვას, მნიშვნელოვნად იმოქმედა ტვირთბრუნვის შემცირებაზე, რის შედეგადაც 2024 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა მეორადი ავტომობილებით დატვირთული კონტეინერების იმპორტი საქართველოს ბაზარზე, რამაც თავისთავად იმოქმედა შემოსავლების შემცირებაზე.

• **ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები:**

დასახელება	2023 (ლარი)	2024 (ლარი)	პროცენტული ცვლილება
ერთობლივი შემოსავალი	38,585,265	32,635,654	-15%
შრომითი ანაზღაურებები	5,370,470	5,248,466	-2%
ტექნიკასთან და აღჭურვილობასთან დაკავშირებული ხარჯი	3,085,412	2,340,239	-24%
ადმინისტრაციული ხარჯები	2,203,442	2,181,136	-1%
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	10,659,324	9,769,841	-8%
EBITDA	27,925,941	22,865,813	-18%
EBITDA Margin	72%	70%	-2%

• კომპანიაში დასაქმებულია 96 თანამშრომელი, საიდანაც:

- რიგითი თანამშრომელი - 72
- ადმინისტრაციის თანამშრომელი - 16
- მენეჯმენტი - 8



კომპანიაში მომუშავე თანამშრომლებზე გაიცემა შემდეგი სახის ბენეფიტები:

- 1) კვების დანამატი - კვების დანამატი არ გაიცემა ზედამხედველის, ოფიცრის ან მენეჯერის პოზიციაზე მომუშავე თანამშრომლებზე. ზედამხედველის რანგის ქვემოთ არსებული ყველა თანამშრომელი ღებულობს კვების დანამატს ყოველთვიურად.
- 2) ზეგანაკვეთური სამუშაო - ზედამხედველის რანგიდან დაწყებული და მოცემული რანგის ქვემოთ მყოფი თანამშრომელი, გარდა ადამინისტრაციისა, უფლებამოსილია მიიღოს შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება.
- 3) სამედიცინო დაზღვევა - კომპანიაში მომუშავე ყველა თანამშრომელს გააჩნია სამედიცინო და სიცოცხლის დაზღვევა.
- 4) პრემია - კომპანიის წარმადობის და თანამშრომლის საქმიანობის ინდივიდუალური შეფასების გათვალისწინებით წელიწადში ერთხელ.
- 5) ავტომანქანა - მენეჯერის პოზიციაზე მომუშავე თანამშრომლებს აქვთ ავტომანქანით სარგებლობის ბენეფიტი.
- 6) ცვალებადი სახის ბენეფიტები.

•გარემოს დაცვა

გარემოს დაცვის კუთხით შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“ ძირითადად ასრულებდა და ასრულებს შემდეგ გარემოსდაცვით მოთხოვნებს:

კომპანია 2017 წლის სექტემბრის თვის ჩათვლით აწარმოებდა წყალსარგებლობის აღრიცხვას, წყლის შესახებ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის (დ) ქვეპუნქტის მოთხოვნის თანახმად. ყოველწლიურად ხდებოდა ანგარიშგება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის-ის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამსახურთან. აღნიშნული მოთხოვნის შესრულების აუცილებლობა გამომდინარეობდა იქედან, რომ აღნიშნულ თარიღამდე გახარჯული წყალი გროვდებოდა დამგროვებელში და მისი გატანა ხდებოდა ასენიზაციის მანქანებით. 2017 წლის სექტემბრის შემდგომ კომპანია აღარ ექვემდებარება წყალსარგებლობის აღრიცხვასა და ანგარიშგების მოთხოვნებს რადგან კომპანიის კანალიზაციის სისტემა დაუერთდა ქალაქის კანალიზაციის სისტემას და ამასთანავე კომპანიის მიერ დღე-ღამის განმავლობაში გახარჯული წყლის რაოდენობა არ აღემატება 20 მ.კბ-ს. რომელიც რეგულირდება "საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2004 წლის 3 ნოემბრის №63 ბრძანებით ანგარიშგების ფორმების შევსებისა და წარდგენის შესახებ მუხლი 1 პუნქტი (გ)"-ის თანახმად.

ტერმინალს არ ეხება მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების მონიტორინგი, რომელიც რეგულირება 2013 წლის 31 დეკემბრის №435 მთავრობის დადგენილება, დანართი 108-ით, რადგან მას გააჩნია 3 სტაციონალური დიზელ გენერატორი, რომლებიც გამოიყენება ელექტრო ენერგიის გათიშვის შემთხვევაში.

კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს №211 ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად შემუშავებულ და შეთანხმებულ



იქნა კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა სახელმწიფოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან.

ზემოთჩამოთვლილი გარემოსდაცვითი ღონისძიებების გარდა ჩვენი კომპანია სხვა გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულებას არ ექვემდებარება.

- **ძირითადი რისკები**

კომპანიის საბაზრო რისკი უმნიშვნელოა, რადგანაც მას არ აქვს ისეთი მნიშვნელოვანი აქტივები ან ვალდებულებები, რომლებზეც სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობა იმერყევებს საბაზრო ფასებში ცვლილებების გამო. კომპანიას არ აქვს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები. ისეთ ვალუტებში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას, არაარსებითია.

ხელმძღვანელობა ზედამხედველობს კომპანიის რისკების მართვას. კომპანია საკმაოდ შეზღუდულად ეწევა ისეთ საქმიანობას, რომლის დროსაც ფინანსური რისკის აღება მოუწევდა. იგი არ ეწევა წარმოებული ინსტრუმენტებით რაიმე საქმიანობას რისკის მართვის ან სხვა მიზნებისთვის.

დებიტორული დავალიანების ნაშთი მოიცავს დაკავშირებული და მესამე მხარეების მომცრო ნაშთებს, რომლებიც წარმოშობიდან მაქსიმუმ 30-90 დღის ვადაში იფარება. ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკს აკონტროლებს ნაღდი ფულისა და ანაბრების განთავსებით საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც კომპანიასთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ.

კომპანია ფულადი სახსრების დეფიციტის რისკს აკონტროლებს ფულადი ნაკადების მოსალოდნელი გადინებისა და შემოდინების ანალიზით ერთ თვეზე ნაკლები, ერთიდან სამ თვემდე, სამი თვიდან ერთ წლამდე და ერთიდან ხუთ წლამდე პერიოდებისთვის. ამჟამად კომპანიის არცერთი ფინანსური ვალდებულება არ არის ვადაგადაცილებული და დასაფარია სამი თვის ვადაში. კომპანიის მიზანია, ბალანსის დაცვა დაფინანსების უწყვეტობის შენარჩუნებასა და მოქნილობას შორის სავაჭრო დებიტორული ანგარიშების დროულად ამოღებითა და კრედიტორებისგან მიღებული კრედიტის გამოყენებით.

ეს მმართველობითი ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2025 წლის 19 აგვისტოს:

ნიკოლოზ გოგოლი

მმართველი დირექტორი

ამირან წილოსანი

ფინანსური მენეჯერი



იქნა კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა სახელმწიფოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან.

ზემოთჩამოთვლილი გარემოსდაცვითი ღონისძიებების გარდა ჩვენი კომპანია სხვა გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულებას არ ექვემდებარება.

- **ძირითადი რისკები**


კომპანიის საბაზრო რისკი უმნიშვნელოა, რადგანაც მას არ აქვს ისეთი მნიშვნელოვანი აქტივები ან ვალდებულებები, რომლებზეც სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობა იმერყევებს საბაზრო ფასებში ცვლილებების გამო. კომპანიას არ აქვს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები. ისეთ ვალუტებში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას, არაარსებითია.


ხელმძღვანელობა ზედამხედველობს კომპანიის რისკების მართვას. კომპანია საკმაოდ შეზღუდულად ეწევა ისეთ საქმიანობას, რომლის დროსაც ფინანსური რისკის აღება მოუწევდა. იგი არ ეწევა წარმოებული ინსტრუმენტებით რაიმე საქმიანობას რისკის მართვის ან სხვა მიზნებისთვის.

დებიტორული დავალიანების ნაშთი მოიცავს დაკავშირებული და მესამე მხარეების მომცრო ნაშთებს, რომლებიც წარმოშობიდან მაქსიმუმ 30-90 დღის ვადაში იფარება. ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკს აკონტროლებს ნაღდი ფულისა და ანაზრების განთავსებით საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც კომპანიასთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ.

კომპანია ფულადი სახსრების დეფიციტის რისკს აკონტროლებს ფულადი ნაკადების მოსალოდნელი გადინებისა და შემოდინების ანალიზით ერთ თვეზე ნაკლები, ერთიდან სამ თვემდე, სამი თვიდან ერთ წლამდე და ერთიდან ხუთ წლამდე პერიოდებისთვის. ამჟამად კომპანიის არცერთი ფინანსური ვალდებულება არ არის ვადაგადაცილებული და დასაფარია სამი თვის ვადაში. კომპანიის მიზანია, ბალანსის დაცვა დაფინანსების უწყვეტობის შენარჩუნებასა და მოქნილობას შორის სავაჭრო დებიტორული ანგარიშების დროულად ამოღებითა და კრედიტორებისგან მიღებული კრედიტის გამოყენებით.

ეს მმართველობითი ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2025 წლის 19 აგვისტოს:


ნიკოლოზ გოგოლი
მმართველი დირექტორი


ამირან წილოსანი
ფინანსური მენეჯერი